№ 117 კვირა, 16 თებერვალი. 1896–1897 კვირა, 16 თებერვალი, № 117

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მომდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

## „ცნობის ფურცელზედ“

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.
თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.
ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, Фрейлинская, № 13.**
**Редакція „Цнобисъ Пурцели“.**

---

ტელეფონი № 349



ტელეფონი № 349

სავაჭრო სახლი

## ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

## საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგები.
ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად.**
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—20 წ.)

---

## სასწავლებელს და პანსიონს

### ა. ტერ-აკოპოვისას

მოუწვევია უმაღლესს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული მასწავლებლები სპეციალისტები და 7 იანვრიდგან იღებს მოწაფეებს, როგორც სასწავლებელში მოსამზადებლად, აგრეთვე სასწავლებელში მყოფთა დასახმარებლად გიმნაზიებისა, რეალურისა და სხვა სასწავლებლების მოწაფეთა მე 5 კლასამდე. იქვე მიიღებიან პანსიონერებად სხვა სასწავლებლების მოწაფენიც. ქართველებს ქართულს ენას ასწავლის სიონის ტაძრის მღვდელი ანტონ თოთიბაძე.

ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11, მესამე გიმნაზიის გვერდზე. (*Тифлисъ, Гановская, № 11. Училище и пансіонъ А. Теръ-Акопова.* (10—10)

---

ხუთშაბათს, 20 თებერვალს
ტფილისის კლუბის დარბაზში
გამართულ იქნება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ

## კონცერტი

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ბ. მ. ამირეჯიბი, კნ. კ. ფ. გურამიშვილისა, კნ. ს. დ. ხიმშიაშვილი, ბ. ნ. შანშიევისა, ვ. ლ. ველიჩკო, ი. გ. კარგარეთელი, ი. მ. შატკოვსკი, ი. თ. სარაჯიშვილი და თ. აკაკი წერეთელი.

დაიწყება 8½ საათზე საღამოს.

ბილეთები იყიდება საზოგადოების კანცელარიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე) და კონცერტის დღეს კლუბის შვეიცართანაც. (5—1)

---

ქართული თეატრი
კვირას, 16 თებერვალს 1897 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ საფაროვ-აბაშიძის, აბაშიძის და გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

I
პირველად ახალი პიესა

## მოგონილი დეიდა

კომედია-ფარსი 3 მოქმედებად, ტომასისა თარგ. კ. შათირიშვილისაგან.

II

## არც აქეთ, არც იქით

ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარელისა, კუნდელი, ბბ. აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, თამაზოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

---

## სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
(წ.)

---

## კბილის ექიმი

**ვ. ი. ჯიჯინაძე**

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

---

## ექიმი

**უ. მ. ჩიქოვანი**

ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7-მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

---

# დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

14 თებერვალი.

**ლონდონი.** სუფოლკის რაზმის ბატალიონმა, რომელიც ალდერშოტში იყო დაბანაკებული, უცბად მიიღო ბრძანება სამხრეთ აფრიკაში წასვლისა.

**ლონდონი.** კერზონმა განაცხადა, რადგანაც ბრიტანიის ადმირალს კრიტის წყლებში მიწერილი ჰქონდა, ემოქმედნა სხვა სახელმწიფოთა ადმირალებთან მორიგებისამებრ, ამიტომ აღარ შეიძლებოდა განსაკუთრებული ბრძანებაც გაეგზავნა იმის შესახებ, რომ სხვათა დამოუკიდებლად იმოქმედეო. არავითარი ცნობა არ მოსვლია მთავრობას, რომ ვითომ ბრიტანიის გემები ოსმალეთის ჯარს გაჰყოლოდეს მისდა დასაცველად. მეამბოხეებმა „წინასწარმეტყველ ილიას“ ახლოს დაიჭირეს ადგილი, მაგრამ გემებიდგან დაწყებულმა სროლამ იძულებულ ჰყო დროშა ჩამოეხსნათ. მთავრობას იმის თქმა არ შეუძლიან—ამ დროს რამდენი კაცი მოკვდა და დაიჭრა, რადგანაც საბერძნეთის მხედრობის უფროსებმა ნება არ დართეს ფლოტის ექიმებს, რომ ალაგობრივ გამოერკვიათ მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი; დაჭრილი არც-კი უნახავთ ვინმე. შემდეგ კერზონმა ლაპარაკი ჩამოაგდო იმ მისიის შესახებ, რომელიც მენელიკთან იგზავნება და სთქვა: მისიას მინდობილი აქვს—დაარწმუნოს ნეგუსი, რომ ინგლისი მეგობრობას არის მოწადინებული აბაშეთთანო, და ეცადოს აბაშეთთან მეგობრული საპოლიტიკო და სავაჭრო კავშირი დასდვას და განაწეს-რიგოს ზოგიერთი საგანი, რომლის გამო უკმაყოფილებაა აღძრული ბრიტანიის მფარველობის ქვეშე მყოფ სამალიის მთავრობასა და ხარრარში მყოფ ნეგუსის მოადგილეს შორისო.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. როდესაც შეეკითხნენ მარკიზ სალისბიურს, მან უპასუხა: მთავრობა მზად არის, ამდენადაც-კი შესაძლებელია განმარტოს ის პოლიტიკა, რომელსაც იგი ადგა თავისს მოკავშირეთა შესახებ; ამ აზრით ორატორმა წაიკითხა დეპეშა, რომელიც გუშინ საღამოს გაეგზავნათ დიდ სახელმწიფოებს. ამ დეპეშაში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს, შემდეგი განაცხადოს იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც იგი დაადგება და რომელიც, მისის აზრით, მოკავშირე სახელმწიფოს სურვილსაც უნდა შეეფერებოდესო: პირველი, კრიტში საადმინისტრაციო თვით-მმართველობა უნდა დაწესდეს იმ უეჭველის პირობით, რომ დიდთა სახელმწიფოთა ჯარები გამოყვანილ იქმნენ ამ კუნძულიდგან; მეორე, კრიტი ოსმალეთის სახელმწიფოს ნაწილს უნდა შეადგენდეს; მესამე, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს საბერძნეთისა და ოსმალეთის მთავრობათ; მეოთხე, თუ ვინიცობაა საბერძნეთსა და ოსმალეთს მოვთხოვეთ კრიტიდგან ზღვისა და ხმელეთის ჯარების გამოყვანა და იმათ უარი განაცხადეს, დიდმა სახელმწიფოებმა ეს გარდაწყვეტილება ძალ-დატანებით უნდა მოიყვანონ აღსრულებაში. ორატორმა ამას დასძინა, რომ სიტყვები „მოვთხოვოთ კრიტიდგან ჯარების გამოყვანა“ ოსმალეთის შესახებ იმას კი არა ნიშნავს, ვითომ ოსმალეთი მოვალე იყოს დაუყოვნებლივ გაიხმოს ჯარი, არამედ ასეთი ღონისძიება აუცილებელი, პირველ დასაწყისი, პირობაა თვით-მართველობის შემოსაღებადო. აქედან სჩანს, რომ ოსმალეთმა კუნძულიდგან ისე უნდა გაიყვანოს ჯარები, როგორც გაიყვანა სამოსისა და სერბიიდგან, სადაც მცირე ნაწილი ჯარი დასტოვა თვისთა უზენაესთა უფლებათა ნიშნად. კუნძულიდგან ჯარები უნდა იქმნას გაყვანილი მაშინ, როდესაც თვით-მმართველობა უკვე იქმნება დაწესებული. რაც შეეხება საბერძნეთის ჯარს, ჩემის აზრით, ეს თვით-მმართველობის დაწესებაზედ ადრე იქმნება მოთხოვნილი. თუმცა მგონია, რომ ასე მოქმედებას დიდთა სახელმწიფოთა სურვილიც უნდა ეთანხმებოდეს, მაინც ამ საგნის შესახებ სხვას ველარას ვიტყვი, რადგან ყოველივე წვლილი ამ საქმისა არ ვიციო. კუნძულს კრიტზე არ შეიძლება დარჩენილ იქმნას საქმეთა მდგომარეობის აწინდელი გამოურკვევლობა, მაგრამ საჭიროა აუჩქარებლად ვიმოქმედოთო. კიმბერლეიმ სთქვა: რადგან ფრიად შესანიშნავი ცნობები იყო იქ გამოაშკარავებული, ამიტომ ჩემს პასუხს შემდეგისთვის გადავდებო. ამის შემდეგ პალატამ დაადგინა, სხდომა გადაიდვასო.

**ბერლინი.** სრულად შემცდარს ცნობებზეა დაფუძნებული ის ვენიდგან გავრცელებული ამბავი, რომ ვითომ გერმანია მიეკედლა გრაფ გოლუხოვსკის მიერ აღძრულს და მურავიევის მიერ გამოთქმულს წინადადებასაო. პირიქით ამ მორიგებას საფუძვლად აქვს დადებული რუსეთის წინადადება, რომელსაც გერმანია, არ უღალატა-რა ერთხელ არჩეულს გზას, მაშინვე მიემხრო და რომელიც შემდეგ სხვა დიდთა სახელმწიფოთაც მოიწონესო. დიდთა სახელმწიფოთა თანხმობით მოქმედების შესახებ რუსეთის მიერ სავსებით გამოთქმულ წინადადებათ ჯერ მიემხრო ავსტრი-უნგრეთი, ვითარცა მესამე დიდი სახელმწიფო, და იმას მიჰყვა საფრანგეთი და, ბოლოს, ინგლისიო.

### გუშინდელი დეპეშა

14 თებერვალი

**პეტერბურგი.** საფრანგეთის საელჩოს სასახლეში ჩინებული ბალ-

გაიმართა, რომელსაც პატივი სცეს და დაესწრნენ დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ, კირილე ვლადიმირის ძე, ბორის ვლადიმირის ძე, პავლე ალექსანდრეს ძე, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგისა.

**პენზა.** გორიდიშჩი ცოფიანმა მგელმა 28 კაცი დაჰკბინა.

**პარიზი.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა არტონი, რომელიც ამ ჟამად სასჯელს იხდის პანამის საქმეში ქრთამის გაღებისათვის. არტონმა განაცხადა, რომ ორი მილიონი დავარიგე და ამას მაშინ განვმარტავ, როდესაც გათავდება გამოძიება 104-თა საქმისაო.

**ბერლინი.** „ფოსსის გაზეთმა“ გამოაქვეყნა წერილი საბერძნეთის აქაურის ელჩისა, რომელშიაც ნათქვამია: გთხოვთ დაბეჯითებით უარჰყოთ ის გაზეთების მიერ ნაუწყები ამბავი, ვითომ საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სიტყვა გაუკრა ზოგიერთ უცხო ქვეყნის წარმომადგენელთ, რომ შესაძლებელია საბერძნეთის სესხის კუპონების $^1/_3$ გარდახდილ არ იქმნასო.

**ვენა.** „ფრემდენბლატტი“ სწერს: გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა, ინგლისმა და რუსეთმა განაცხადეს, რომ სრული თანახმანი ვართ ერთმანეთისაო; იტალიამ განაცხადა, რომ საზოგადოდ მივეკედლები ყოველსავე იმას, რაშიაც ყველა დიდნი სახელმწიფონი მიიღებენ მონაწილეობასაო; საფრანგეთის თანხმობის ამბავი თუ არ მოსულა, დღეს მოვა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ იმოქმედებენ ეს სახელმწიფონი, გაზეთი ამბობს: სტამბოლში მყოფნი ელჩნი ყოველთ უწინარეს პორტას აუწყებენ, რომ დიდთა სახელმწიფოთ განზრახვა აქვთ თითონ იკისრონ კრიტში მშვიდობიანობის დამკვიდრების საქმე ოსმალეთის სახელითაო; შემდეგ ამასვე აცნობებენ საბერძნეთსაც. რაც შეეხება თხოვნას კუნძულიდგან ჯარების გაყვანისას, იგი ულტიმატუმის სახით იქმნება ნათქვამი, ანუ ულტიმატუმის მნიშვნელობა მაინც ექმნება ასეთს მოთხოვნას და თან მოჰყვება სასტიკნი ძალის-დამატანებელნი საშუალებანიო.

**რომი.** ასმარიდგან ამბავი მოვიდა, რომ რას-ალულა გარდაიცვალაო.

**ლონდონი.** ეხლა შემოწმებულია, რომ დიდთა სახელმწიფოთა შორის სრული თანხმობა არსებობს კრიტის საქმეთა შესახებ. ამ ახლო ხანებში ღირს-შესანიშნავს მანიფესტაციას მოელიან.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ დეპეშით აუწყებენ კანეიიდგან, რომ კანდანოში მაჰმადიანები ალელვებას იმუქრებიანო. კონსულები შეშფოთებულნი არიან. სამმა სამხედრო ხომალდმა, რომელნიც წარსულ ღამეს მოშორდნენ კანეიას, კანდანოს გარშემორტყმულთა ხელმძღვანელთ გარდასცეს წერილი, რომელშიაც თხოულობენ, რომ შეძლება მოგვეცით დაუბრკოლებლად გადავიყვანოთ კანდანოში შემწყვდეულნი ზღვის უმახლობელეს ნაპირზედაო.

**კონსტანტინოპოლი.** პორტას ამბავი მოუვიდა, რომ ხერსონესში გემებით მივიდა ექვსასი კაცი საბერძნეთის ჯარისა სამის ზარბაზნითა და ტყვია-წამლით და აგრეთვე საბერძნეთიდგან მოსულ მეამბოხეთა ხელმძღვანელებითაო.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა უმაღლესნი ბრძანებანი: 1, იმის შესახებ, რომ გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და რეალურ სასწავლებელთა მასწავლებლებს უფლება მიეცეთ ჯამაგირად 900 მანეთი მიიღონ, თუ კვირაში 12 გაკვეთილი ექმნებათ, ისე-კი, რომ 5-ის წლის ნამსახურნი იყვნენ, თუნდა ეს სამსახური საერო განათლების სამინისტროს სხვა-და-სხვა სასწავლებლებშიაც გარდაეხადოთ; 2, იმის შესახებ, რომ საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების მასწავლებელ ქალებს უფლება მიეცეთ პენსიისა და ერთ დროებითის შემწეობის მიღებისა განსაკუთრებულ საპენსიო თანხიდგან.

**სიმბირსკი.** სიზრანო-ვიაზემსკის რკინის გზის სადგურ „რეპიევკაზედ“ მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. ორთქლ-მავალი ლუკმა-ლუკმად არის ქცეული. მემაშინე მოკლულია, კონდუქტორი დაშავებული. ხალხის ვაგონები უვნებლად გადარჩა.

# ახალი ამბავი

⁂ **სასანიტარო ზედამხედველნი.** პარასკევს, 14 ამ თებერვალს, კრება იყო ქალაქის გამგეობისა და სასანიტარო რაზმების თავმჯდომარეთა. კრებამ განიხილა და დაამტკიცა ინსტრუქციები და წეს-რიგი შესახებ ეზოებისა და ქუჩების სისუფთავის ზედამხედველობისა. რადგანაც 80 ხმოსანთა შორის მხოლოდ 16 კაცმა იკისრა რაზმებში მონაწილეობის მიღება, ამის გამო კრებამ დაადგინა: მოიწვიოს 12 საპატიო მოქალაქე თავმჯდომარეებად. მეორე სხდომაზე, როდესაც შესრულდება 28 მზრუნველი, დაადგენენ, ვინ უნდა იქმნენ მოწვეულ მზრუნველთა თანაშემწეებად, რომელთა რიცხვი 56 კაცია. პირველ კრებაზე, სხვათა შორის, გადასწყდა შემდეგი: ყოველი რაზმი უნდა გამოცხადდეს თვითოეულ სახლში, დაათვალიეროს სანიტარული მდგომარეობა ეზოებისა და ჩასწეროს წიგნში ყოველი ნაკლულევანება, რომელიც-კი აღმოჩნდება ეზოებში; მერე სათითაო წევრი რაზმისა შემოუვლის ამ ეზოებს და გასინჯავს, რამდენად შეასრულეს სახლის პატრონებმა თავიანთი მოვალეობა და რა აკლიათ კიდევ.

⁂ **ქალაქის ხმოსნები კრებას არ ესწრებიან.** ტფილისის გუბერნატორმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნები ხშირად არ ესწრებიან კრებებს და გარდა ამისა, არც მიზეზია ხოლმე მოხსენებული კრებაზე დაუსწრებლობისა. ამიტომ ბ-ნმა გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავის მოადგილეს, ყოველთვის შემატყობინეთ მიზეზი, რის გამო არ ესწრებიან ხოლმე ხმოსნები კრებას.

⁂ **თ. აკაკი წერეთლის ახალი კომედია.** ნამდვილის წყაროდამ შევიტყეთ, რომ ჩვენს სასიქადულო მგოსანს აკაკის დაუწერია ახალი კომედია ამ დროინდელ ცხოვრებიდამ.

⁂ **სასულიერო პირთა მდგომარეობის გაუმჯობესობა.** უწმიდესის სინოდის განკარგულებით, ქართლ-კახეთის სინოდალურმა კანტორამ მოსთხოვა ყველა ეპარქიის უფროსთ, წარმოადგინონ ამ მოკლე ხანში სია იმ მრევლებისა, რომლებშიაც სასულიერო მოსამსახურე პირნი შევიწროებულნი არიან მომეტებულის სიღარიბით. ეს სიები შემდეგ წარმოდგენისა გაიგზავნება უწმიდესს სინოდში, რათა იმ მცირე მრევლებში მოსამსახურე ღარიბ სასულიერო პირთ სხვაზედ უფრო ადრე დაენიშნოთ ხაზინიდან ჯამაგირები.

ეხლა, როგორც შევიტყეთ, უწმიდესის სინოდის განკარგულებით ქუთაისის ეპარქიის სამღვდელოებას მიემატა 24000 მან., იმის გარდა, რაც ეძლეოდა დღევანდლამდის. სასურველი იქნებოდა, რომ ქართლ-კახეთის მცირე მრევლიან სამღვდელოებასაც მალე მოჰმატებოდეთ ჯამაგირები.

⁂ **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ ქართვ. გამომცემელ ამხანაგობის გამოცემული წიგნაკი დასტურლამა, თხზ. ნიკოლოზ დადიანისა, იონა მეუნარგიას წინასიტყვაობით. წიგნი საინტერესოა ჩვენი ისტორიის მოყვარულთათვის და საზოგადოთ ყველასათვის. წიგნი შნოიანად არის გამოცემული, შეიცავს 40 გვერდს და შედარებით ძვირია (25 კ.)

⁂ **ბ. ტფილისის გუბერნატორს** მოუხსენებია ბ. მთავარ. მართებლისთვის, რომ გასულს იანვარში ტფილისის გუბერნიაში შემდეგი შემთხვევები იყოვო: 8 კაცი მოუკლავთ; 3—თავი მოუკლავს, 4—სხვა და სხვა უბედურების შემთხვევით მომკვდარა; 3—მკვდრის გვამი უპოვნიათ; 3 — ქურდობა; 2—განგებ ქონების დაწვა; 1—ცეცხლი გაჩენილა და 2—ახლად დაბადებული მიუგდიათ სხვისთვის.

⁂ **დარუბანდის რკინის გზის მუშაობა**, როგორც გვატყობინებენ, დაიწყება 15 თებერვლიდგან. პეტროვსკში ამის გამო ამ ჟამად დიდ ძალი მუშა ხალხი ტრიალებს სხვა და სხვა მხრიდან მოსული ქართველობაც ბევრი არის თურმე.

⁂ **ახალი ქართული რომანსი.** იბეჭდება და გამოვა ახალი რომანსი „მშვენიერთა ხელმწიფავ“, მუსიკა ბ. ი. კარგარეთელისა.

⁂ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართული დრამატიული საზოგადოების დასი გამართავს ქართულს წარმოდგენას. ითამაშებენ ახალს პიესას—ტომასის 3 მოქ. კომედიას „მოგონილი დეიდა“ და ვ. გუნიას 1 მოქ. ვოდევილს „არც აქეთ, არც იქით“, ახალი კომედია, ძრიელ მხიარული და სასაცილოა.

⁂ **პრობკის და სამინერალო წყლების ახალი ქარხნები.** ამ მოკლე ხანში ქალაქში გაიმართება პრობკისა და სამინერალო წყლების ოთხი ახალი ქარხანა.

⁂ **ქალაქის გამგეობის თათბირი.** 14 თებერვალს, ტფილისის ქალაქის გამგეობას თათბირი ჰქონდა, რომელზედაც გარდასწყვიტეს, 100 ფარანი მოემატოს ქალაქს სხვა და სხვა მცირედ განათებულ უბნებში.

⁂ **ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ** დაავალა ბ. პოლიცმეისტერს, ძალა დაატანოს მოქალაქეთა სტაროსტად ნამყოფს აბრამოვს, რათა მან თავისი თანამდებობა და საქმის ქაღალდები ჩააბაროს ახლად დანიშნულს სტაროსტას, ბ. იედიგაროვს, დაუყოვნებლივ. ესეთი ფიცხელი განკარგულება იმან გამოიწვია, რომ ბ. აბრამოვი, მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენჯერმე მიეცა წინადადება, არ აბარებს, თურმე, თანამდებობას თავის მოადგილეს 1896 წ. 29 ნოემბრიდამ.

⁂ **ნ. ს. მანსუროვს**, რომელიც გაზეთ „ნოვოე ობოზრენ.“ ვლადიკავკაზელი კორესპონდენტი იყო, ქ. ვლადიკავკაზში, 12 თებერვალს, დილით, თავი მოუწამლავს და 14 თებერვალს უკვე დაუკრძალავთ მიცვალებულის გვამი.

⁂ **პოეტის ფაზელის** (მამია გურიელის) **ბიოგრაფია.** ჩვენ ცნობილს მწერალს ბატ. იონა მეუნარგიას უკვე დაუმთავრებია ბიოგრაფია პოეტის მამია გურიელისა და მოკლე ხანში დასტამბავს კიდეც.

⁂ **საინტერესო კითხვა.** ქუთაისის მცხოვრებმა ბ-ნმა დავით ბესარიონის ძე მიქიაშვილმა წარადგინა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში თავის მამულის საბუთები და ითხოვა სესხი. ბანკის მმართველობამ დაუბრუნა ბ-ნ მიქიაშვილს თავის საბუთები უკანვე შემდეგის რეზოლიუციით: რადგან თქვენ სატახტო აზნაური არ ბრძანდებით, ამისთვის ბანკი თქვენ სესხს ვერ მოგცემსო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი მიქიაშვილი ჩამომავლობით აზნაური არ არის, იმას სამსახურში აქვს შეძენილი პირადი აზნაურობა. ბ-ნმა მიქიაშვილმა ამ ნაირი თხოვნითვე მიმართა ეხლა საგლეხო ბანკს, მაგრამ საგლეხო ბანკმაც უკან დაუბრუნა საბუთები და უარი უთხრა, რადგან თქვენ გლეხი არ ბრძანდებით ბანკი სესხს ვერ მოგცემთო. ეხლა ბ-ნმა მიქიაშვილმა მიმართა თხოვნით პირდაპირ მინისტრს და სთხოვს: განმიმარტეთ, ბატონო, რომელ წოდებას ვეკუთვნიო.

⁂ **ქუთაისი. განა ეს სამართალია?** ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ქუთაისის სამოქალაქო გამგეობის აგენტებს დაეკარგათ საკვიტანციო წიგნები. ქალაქის გამგეობას ჰქონდა ამ საგანზე სხდომა და შემდეგი გარდაწყვეტილება დასკვნა: რადგანაც ბოროტ-მომქმედი ამ საქმეში არ აღმოჩნდა, ყველა აგენტებმა სამსახურს თავი უნდა დაანებონო.

ერთმა აგენტმა კ. ჩხეიძემ მიართვა ქალაქის მოურავს შემდეგი თხოვნა: მე მაინც და მაინც არ გთხოვთ ისევ სამსახურში დამარჩინოთო, მაგრამ გამგეობამ იმნაირი მსჯავრი დამდო, რომ ჩემ პირადობას ჩირქი მოეცხო და რომელ სამსახურის კარებსაც უნდა მივადგე, ყველგან, თქვენი განაჩენის წყალობით, კარები დაკეტილი დამხვდებაო. «სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო»—შეიძლება, მართლა, მე ვიყო დამნაშავე და ჩემი გულისათვის ჩემი ამხანაგები უბრალოდ ისჯებოდენო და რატომ არ მოახდენთ სასტიკ გამოძიებას, რატომ თვითოეულად აგენტს ანგარიშს არ შეუმოწმებთო? მართალია წიგნები დაიკარგა, მაგრამ მათი აღდგენა ხომ ძნელი არ არისო? ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნაც უარ ჰყო, საბჭოს არ მოახსენა და ამნაირად ყველა აგენტები, მტყუანი და მართალი, სამსახურიდგან დაითხოვა.

სამართალი თუ გნებავთ ეს გახლავთ! ამაზედ იტყვიან: „სადაც ძალა შევა, სამართალი ბანიდან ავაო!“

⁂ **ოზურგეთი. თათბირი შავი ჭირის შესახებ.** ოზურგეთის მაზრის უფროსის კნ. ზ. ალშიბაიას მოწოდებით ქალაქის საბჭოს დარბაზში კვირას, 9 თებერვალს, კრება იყო აქაურ მცხოვრებთა. ბ-ნმა მაზრის უფროსმა შეკრებილ საზოგადოებას აუხსნა ის შიში, რომელიც ჩვენს მხარეს მოელის, თუ ვინიცობაა შავი ჭირი ეწვიაო. მერე განმარტა ამ საშინელის სენის საზარო თვისებანი და გამოუცხადა, რომ ეს სენი უსუფთაობას ემტერებაო. ამიტომ ვეცადნეთ კარ-მიდამო სუფთად შევინახოთ, საჭმელ-სასმლის სისაღეს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთო. თუ ეს წესი დავიცევით, მაშინ ინდოელს სტუმარს კუდამოძუებულს გავისტუმრებთ აქედანაო. მთავრობა სცდილობს სათანადო ღონე იღონოს შავი ჭირის დასახვედრად, ფულებსა ხარჯავს, ჩვენთვის ზრუნავს, გარნა მისი ცდა და ზრუნვა ამაოა, თუ ჩვენც მხარში არ ამოვუდექით და მასთან ერთად არ გავუმკლავდით საერთო მტერსა. ყველგან ამორჩეული სასანიტარო მზრუნველები გეყოლებათ, დაგარიგებენ, როგორ მოიქცეთ, რას უნდა მოერიდნეთ. ეცადეთ, ამ ამორჩეულ კაცების ნათქვამი და დარიგება სავსებით აასრულოთო.—დაამთავრა თავისი სიტყვა ბატონმა მაზრის უფროსმა.

⁂ **ქ. სიღნაღის ამბები; ქურდების თავისუფალი ნავარდობა.** ღამის რაინდებმა არც სიღნაღი დასტოვეს უვნებლად. თ. ი. ვ—ძის სახლი გაჰქურდეს და წაიღეს 150 მან. ფული. თვით ი. ვ—ძე ოთხი-ხუთ დღით ქალაქ ტფილისში იყო წასული და ამ თვის 8-ში დაბრუნდა სიღნაღში. როცა შინ დაბრუნდა და სახლში მივიდა, კარების გასაღებად, კაცი სახტად დარჩა. დაკეტილი კარები და ფანჯარა ღია დაუხვდა. სახლში შევიდა თუ არა, მაშინათვე იმ ალაგს მივარდა, სადაც, თურმე, ფულები ჰქონდა შენახული. მაგრამ როცა ნახა ის ალაგი, პირკატა ეცა; ფული იქ აღარ დაუხვდა. ქურდებს მარტო ნაღდი ფული 150 მან. წაუღიათ, მხოლოთ დანარჩენი ავეჯეულობისათვის ხელი არ უხლიათ და ყველა თავთავის ალაგზედ დახვდა. იქვე ახლო მდგმურებს ეს კარი და ფანჯარა გაღებული ამ თვის ხუთშივე შეუნიშნავთ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, რადგან ჰგონებიათ, რომ მოჯამაგირე გააღებდაო. დამნაშავე ჯერ არავინ აღმოუჩენიათ.

⁂ **უბედურის შემთხვევის მსხვერპლი.** ამ თვის 8-ს, შაბათს, სიღნაღის ახლო, ტფილისის საფოსტო გზაზედ, ერთი მეტად შემაძრწუნებელი უბედურება მოხდა. ტფილისში მიმავალ ეტლიდგან უეცრად გადმოვარდა ეტლის კონდუქტორი, სიღნაღის მცხოვრები, კაპლო თამაშვილი და მაშინათვე მოკვდა. როგორც ამბობენ, ამ უბედურს უეცრად შინელი უსწორებია, ამ დროს ეტლი ჩაქანებულა და კაცი ძირს გადმოვარდნილა, თვლებს ზედ ზურგზედ გადაუვლია და იქვე გაუნადგურებია. გარდაცვალებულს დარჩა, როგორც ამბობენ, ახალგაზდა ცოლი და წვრილი შვილები უნუგეშოთ და ყოველ ღონისძიებას მოკლებულნი.

⁂ **გაზის წამლობის დარიგება ქართულს ენაზე.** ამირან და ისაკ შავერდოვები, რომელთაც ქ. სიღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალში ვაზის წამლისა და ვერმორელისა და ლიაგლესის მანქანების საწყობი აქვთ გამართული, აბეჭდინებენ მოკლე დარიგებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეწამლოს ნაცრისაგან და მილდიუსაგან დაზარალებულ ვენახებს. ეს დარიგება აგრონომ ბ. ს. შავერდოვს შეუდგენია და ესენი აბეჭვდინებენ თავიანთ ხარჯით და უნდათ დაურიგონ უსასყიდლოთ იმ პირთ, რომლებიც იმათგან იყიდიან შაბ-იამანს და მოხსენებულ მანქანებს.

⁂ **ახალგაზდა მომღერალი კარგარეთელი.** ხვალ, 17 თებერვალს, სახელმწიფო თეატრში ბ-ნი კარგარეთელი მონაწილეობას მიიღებს დემონის წარმოდგენაში და შეასრულებს თავადის როლს.

⁂ **კეთილი კაცის კეთილად მოგონება.** ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „რა კარგია კარგი კაცი, კარგს საქმეზედ აგებული, ქვეყანა ჰყავს მადლიერი, მტერის გული მოგებული". ესევე ითქმის პირუთვნელად პატივცემულ პოლკოვნიკ ვლადიმერ ნიკოლოოზის ძე როქკოვზედ, რომელიც ამას წინად გადაყვანილ იქმნა ოზურგეთიდგან სხვა თანამდებობაზე, სადაც იგი უფროსად იყო მესამე დრუჟინის ქართველთა რაზმისა, რომელიც მომეტებულ ნაწილად შესდგება ქართველთა ტომის გურულ-მეგრელთა ხალხისაგან.

დიდი ყურადღება მიაპყრო ბ-ნ როქკოვმა ამ ქართველთა გაუწრთვნელ ახალგაზდობას, ღრმად ჩაუკვირდა მათ ცხოვრებას და სავსებითაც შეისწავლა გურულ-მეგრელის კაცის ხასიათი, ჩვეულება და მკვირცხლი ბუნება. იგი მათში ხედავდა სიმხნევეს, დაუდგრომელს მეცადინეობას, მტკიცე ნიადაგს, რომელზედაც კი შეიძლებოდა კეთილი ნაყოფი გამოელო შრომა-მოღვაწეობას; ცდილობდა, რომ უფრო კარგად შეემუშავებინა ეს მტკიცე ნიადაგი, ძალუმად წაეხალისებინა ისინი ცდასა და მეცადინეობაში. იგი კარგად გრძნობდა, რომ მხოლოდ კარგის ქცევით შეიძლებოდა მათი მიზიდვა.

ყოველი ჯარის-კაცი მესამე დრუჟინისა გამსჭვალულ იყო მის სიყვარულით და ყველაც ისე შეჰყურებდა, როგორც თავის ნამდვილს პაპას და აი კიდეც ამისთვის უწოდეს ჩვენებურის ენა-მახვილობით „ბაბუა". რა კარგი კაცია ჩვენი ,,ბაბუა''!— ვენაცვალე ჩვენს ,,ბაბუას''—ღმერთმა დიდ-ხანს გვიცოცხლოს ჩვენი ,,ბაბუა''. სულ ამნაირად იხსენიებდნენ ყოველთვის მისს პატიოსან სახელს. სხვა დრუჟინის ჯარის კაცებმაც კი იცოდნენ, ვინ იყო და როგორი კაცი იყო ,,ბაბუა''.

„ნასალდათარი".

⁂ **გამოჩენილი მოჭადრაკე გილგელმ სტეინიცი** მძიმე ავადმყოფია ამ ჟამად. იგი მოსკოვის მეგობრებს მოუთავსებიათ სულით ავადმყოფთა სამკურნალოში. ამბობენ, სტეინიცზე დიდი გავლენა იქონია ამ უკანასკნელად ლასკერთან თამაშის წაგებამაო.

⁂ **საოცარი ნიჭი.** გერმანეთში ამ ჟამად მეცნიერებს აკვირვებს შესანიშნავის ნიჭის პატრონი ჟონ ინოდი. 16 წლამდე ინოდი მწყემსათ იყო. ერთმა მეცნიერმა შეიტყო, რომ ინოდის საკვირველი ნიჭი ჰქონია ანგარიშისაო და წარუდგინა სამეცნიერო აკადემიას, რომელიც თავისს მხრივ გაოცებულ იყო იმის ნიჭით.

ინოდი სულ ერთს წუთში ისეთს ძნელს რასმე გამოიანგარიშებს ხოლმე, რაზედაც სხვას მთელი დღე დასჭირდება. მაგალითად, ინოდიმ ჰკითხა ერთს: როდის დაიბადე? უპასუხეს: 1856 წელს, 11 დეკემბერს. ინოდიმ ერთს წუთს გამოიანგარიშა და უთხრა ამ კაცს: «თქვენ ხუთშაბათს დაბადებულხართო".

მეორე მაგალითი: ერთმა კაცმა უთხრა: მე 40 წლისა, 1 თვისა და 12 დღისა ვარო. მაშასადამე, უცბად გამოუანგარიშნია ინოდის, თქვენის დაბადების შემდეგ გასულა 2,093,120 წუთიო, ანუ 1,265,587,200 წამიო.

⁂ **75 წლის სტუდენტი.** ვარშავის უნივერსიტეტში გამოცდის ეგზამენის ნება ითხოვა სამკურნალო ფაკულტეტზედ ბორისაკმა. ეს სტუდენტი დაიბადა 1822 წელს. გიმნაზია რომ გაათავა, შეძლება არ ჰქონდა უნივერსიტეტში შესულიყო და 10 წლის განმავლობაში ერთ ოჯახში იყო მასწავლებლად. ამ ათის წლის განმავლობაში ბეჯითად სწავლობდა მედიცინას. ვარშავაში რომ სამკურნალო აკადემია დაარსდა, იგი სტუდენტად ჩაეწერა, მაგრამ 1863 წელს მომხდარ ამბის გამო პოლონიაში ბორისაკი იძულებულ შეიქმნა ვარშავიდგან წასულიყო. პოლონიაში დაბრუნდა მხოლოდ 1895 წელს და მოხუცობის მიუხედავად ნება ითხოვა ეგზამენის მიცემისა ვარშავის უნივერსიტეტში. დიდის ხნის მეცადინეობის შემდეგ ამის ნება მისცეს და ამ ჟამად მოხუცებულმა სტუდენტმა მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი.

⁂ **გერმანეთის მცხოვრებთა აღწერა.** პირველი აღწერა გერმანეთის მცხოვრებთა მოხდა 1882 წელს, მეორე—1895 წელს. ამ ორ აღწერიდგანა სჩანს, რომ 1882 წელს გერმანეთის მცხოვრებთა რიცხვი ყოფილა $46^{1}/_{2}$ მილიონი, 1895 წელს კი—52 მილიონი. ამ გვარად 13 წლის განმავლობაში გერმანიის მცხოვრებთა რიცხვს მიჰმატებია $5^{1}/_{2}$ მილიონი. გერმანელებს ეს ძლიერ უხარიანთ და ამბობენ, ეს იმის თავდებია, რომ საფრანგეთი ვერასოდეს ვერ გვაჯობებსო. იმ ხნის განმავლობაში, როცა გერმანიას $5^{1}/_{2}$ მილიონი მცხოვრები მიემატა, საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვს ძლივს მიემატა $^{1}/_{2}$ მილიონი. საყურადღებოა შემდეგი გარემოება: გერმანიის მცხოვრებთა შორის $25^{1}/_{2}$ მილიონი მამათა სქესისაა და $26^{1}/_{2}$ მილიონი დედათა სქესისა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ გერმანიის ქალები თან და თან ხელსა ჰკიდებენ ყოველ-გვარ სამსახურსა და თანამდებობას.

⁂ **როგორ იძენენ წიგნებს უფულოდ ოზურგეთელები?** როგორ იძენენ და ძლიერ ადვილად. წავა ოზურგეთელი დღეს სამკითხველოში და წამოიღებს ერთს წიგნს, წავა ხვალ და წამოიღებს მეორეს, მერე მესამეს. ამ გვარად ერთს წელიწადში შეიძენს 365 წიგნს. გაიმართა ჩინებული ბიბლიოთეკა. ასე იქცევა მეორე ოზურგეთელიც, მესამეც, მეოთხეც. ამ გვარად ყველა კაცს თავის სახლში ექმნება ბიბლიოთეკა. მართალია სამკითხველოში წიგნი აღარ დარჩება, მაგრამ რაკი ყველას თავისი საკუთარი ბიბლიოთეკა ექმნება, ან ფასიანი სამკითხველო რაღა საჭიროა და ან უფასო?

* * *

## წლევანდელი სეზონი

წერილი მეგობართან დრამატიულ კომიტეტის წევრისა.

,,ქმარი ხუთის ცოლისა" უფრო ნაკლებ გაჭირებაში იყო ჩავარდნილი, ვინემ ჩვენ, ჩემო მეგობარო, ამ წელს. ერთი ,,ბედნიერი დღე'' არ გვინახავს! ,,ერთი შემთხვევა" არ ყოფილა, რომ „ორ-ცეცხლს-შუა" არ ჩავვარდეთ და „უბრალოდ დასჯილნი" არა ვყოფილიყავით ჩვენი არტისტებისაგან. ,,ცელქები'' არიან, მეთქი, რომ მოგწერო ტყუილი იქნება—ნამდვილი ,,ავაზაკები'' არიან! ერთი იმათგანი მაინც პირ-წავარდნილი ,,ციმბირელი'' არის! მეორე გაიძახის: ,,მე მინდა კნეინა გავხდე» და ,,სამშობლო'' ფეხებზედ ჰკიდია! ,,მშვენიერი ელენეს მაძიებელი'' რომ ვყოფილიყავი, იმას უფრო მალე ვიპოვიდი'' ვინემ ამათში თანხმობას! არცერთი არ ურევია ამათში ,,რაინდი უშიშარი და გულ-მართალი.— ,,ფული! ფულიო'' ყველა მოგვძახის! შემოსავალი არ იყო და საიდამ მივცეთ? მე ხომ ,,ვენეციელი ვაჭარი" არა ვარ—სავსე ყუთები მქონდეს. „და-ძმა" გაგვექცა, ერთს „ხანუმა» დაეხმარა, „ცხოვრების თანამოგზაური» იშოვნა და სულ მოგვშორდა... „დაქცეული ოჯახი" ღა შეგვრჩა ხელში: „ძუნწი" ვერ მოეალერსება თავის ოქროებს ისე, როგორც ჩვენ არტისტებს ვეალერსებით—მაგრამ როგორც „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ" ვერაფერს გააწყობ „სინოდალნი კანტორაში" ისე ამათთან! რეჟისსორი ნამდვილი „ჰამლეტი" გამოდგა, ყველაფერი უნდა, ვერაფერი გააკეთა! არ მჯერა, არა, შენ რომ იწერები: „უპატიოსნონი არ იბადებიანო"! ყველა რომ პატიოსანი იბადებოდეს, განა ასეთი „უბედური დღე" დამადგებოდა და კომიტეტის წევრად ამირჩევდნენ? მაგრამ ეს „შეცდომა" ჩემი მეკენჭეებისა დიდი გაკვეთილია ჩემთვის: ამას იქით „სამეფო ტახტისათვის" არ დავსთანხმდები, რომ ხელ-მეორედ ამირჩიონ!

ნამდვილთან სწორეა: კვიმატი,

---

## ლიტერატურა ცხოვრებაში.

—

თუ რომ ახალგაზდა თავადიშვილს საქმე გამოჰლევია, დღეში ათას სულელობას ახდენს და ბოლოს ქალსაც მოიტაცებს,—იცოდეთ, რომ თქვენ წინ არის ახალი ჯურის „ვეფხვის-ტყაოსანი".

თუ ჰხედავთ ახალგაზდა მანდილოსანს, რომელიც ქმარს ატყუებს პირველის საყვარელისათვის, პირველს—მეორესთვის, მეორეს—მესამესთვის; ამავე დროს საზოგადოებას ეჩვენება ყოვლად პატიოსან არსებად, იცოდეთ, რომ თქვენ ჰკითხულობთ ახალს „თამარ ცბიერს".

თუ ჰხედავთ, რომ ქართველი მწერალი უბნობს ასე: თხზულებაები, მწერლობაები, ცბიერებაები, გარემოებაები, დროებაები,—იცოდეთ, რომ თქვენ ჰხედავთ ახალს «დედაენას».

თუ ჰხედავთ, რომ ახალგაზდა ქალი ასდევნებია კავალერს და მზათ არის, რომ ჩამოეკიდოს ლამაზ კისერზე, იცოდეთ, ეს არის მოთხრობა „სახრჩობელაზედ".

თუ ჰხედავთ ახალგაზდა ყმაწვილ კაცს, რომელსაც უყვარს ორი ქალი: ერთი იმიტომ, რომ ლამაზია, მეორე-კი იმიტომ, რომ მდიდარია,—ეს არის დრამა „ორ ცეცხლ შუა".

თუ ჰხედავთ, რომ კაცი გაცოფებული ამტკიცებს, რა უფრო გემრიელია და შემრგე: ყაბლუ ფლავი თუ არტალა,—იგულისხმეთ, რომ ჰკითხულობთ „გიორგი მე XIII-ს".

თუ ჰხედავთ, რომ კაცს თავის სიცოცხლეში იმაზედ დიდი აზრი არ გამოუთქვამს, რომ „ორჯელ ორი ოთხია", რომ „მუხას რკო ასხია" და თავისი თავი-კი დიდი მეცნიერი ჰგონია,—იცოდეთ, რომ თქვენ წინ გაშლილია ახალი „კაცია ადამიანი?"

თუ კაცი თვითონ ლაპარაკობს თავისს ღირსებაზედ და აზვიადებს თავისს მნიშვნელობას, იცოდეთ, რომ ისმენთ ახალს „გლახის ნაამბობს".

თუ დაესწარით ჩვენს სათავადაზნაურო კრებებს და მასზედ ბაასს ფულების შოვნაზედ,—მითომ გიკითხავთ ზღაპარი „ათას ერთი ღამე".

თუ ჰხედავთ, რომ ქართველი მოღვაწეები ერთმანერთს სჭამენ, ერთმანეთს ასმენენ, აბეზღებენ, ორმოს უთხრიან,—ეს არის ახალი პიესა „სამშობლო".

თუ ახალგაზდა, რომელსაც დედის რძე არ შეშრობია ტუჩებზედ, ჰლანძღავს და უკადრისად იხსენებს დამსახურებულ მოღვაწეს,—ეს არის ჩვენებური „ძმური სიტყვა".

თუ კაცი ვერც ჩვენებურის და ვერც რუსულ მწერლობით ვერ გამდიდრდა, ხოლო მადა-კი დიდი აქვს განცხრომით ცხოვრებისა და მიტომ მწერლის კალამს სხვა იარაღზე გამსოცვლის, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ წინ გაშლილია რომანი „დანაშაული და სასჯელი".

თუ ორნი მეზობელნი ერთად ვერ თავსდებიან, რადგან ერთს-მეორესათვის ყველაფრის გამოგლეჯა ჰსურს და პირში-კი უცინის, იცოდეთ, რომ მათ შორის საქმე გათავდება „ცეცხლითა და მახვილითა".

თუ ბანკის კრებებზე მოწინააღმდეგე პარტიები თავის ბელადის გასამარჯვებლად არასფერს ზოგვენ,—იცოდეთ, რომ უეჭველად მოხდება „ტივით მოგზაურობა".

ხუმარა.

---

## სურათები.

რენტგენის მიერ გამოგონილ სხივებით მეც ვისარგებლე. გამოვიგონე სულ ახალი მანქანა. ამ მანქანით მივაფენ ხოლმე კაცის თავსა და გულს რენტგენის სხივებს და სურათი მზადა მაქვს. სურათზედ ნათლად იხატება, რას ფიქრობს კაცი, და რა იმედი აქვს გულში. აი ზოგიერთი ახლად გადაღებული სურათი:

**№ 1.** ეგ ყველა კარგი, მაგრამ... მაგრამ მთელ დღეს იმოდენა ხალხი შენ შემოგცქეროდეს, ყველა ,,რეჩს'' გეუბნებოდეს, ვისაც ღვინის სმა უყვარდეს, ყველამ შენი სადღეგრძელო დალიოს.,.. ხომ დავიღალე შვილოსა!.. აქაო და ორმოცი წელი შესრულდაო, ერთს დღეს ისე უნდა დავიღალო, როგორც ორმოც კრებაზედ არ დავღლილვარ.

**№ 2.** აი ის, ჩქარის ნაბიჯით რომ მიდის და მიკუნტრუშებს, იცით, რასა ჰფიქრობს? ,,რა კარგი იქმნება, იმას ,,ობესნენია" რომ არ შეიწყნარონ და უკანასკნელი არჩევანები გაბათილდეს! მაშინ ხომ დამრჩა ბურთი და მოედანი''!..

**№ 3.** ,,მოვა, თუ არ მოვა? მოვა, თუ არ მოვა?''—ჰფიქრობს აი ისა, სიცხეშიაც რომ ქურქი ასხია,— ,,ნეტა კი მალე მოვიდეს და! აბა, მაშინა ვნახოთ, მე თუ ისინი? აქაო და მე ჯერ არ მომსვლია, მომდგომიან და, ვინ იცის, რას არ მიწერენ! ვითომ, რატომ არ უნდა მომივიდეს? ჯერ ახალგაზდა კაცი წარვადგინე, მერე ,,ვოენი'', მერე ლიტერატორი, მერე თითონ მე წარვსდექი!.. მომივა, როგორ არ მომივა! თუ არ მოვიდა, მე თითონ ფეხკას მოვადენ პეტრესბურგში და აბა ნავხოთ მაშინ.

**№ 4.** ვერ მომიფიქრებია, ის ოხერი კედელი რამ ჩამოაქცია? თითქოს იმ დროს ძლიერ დიდი ქარები არა ყოფილა... სხვას-კი განა არა აქვს ნახევარ აგურიანი კედლები, მერე რატომ არ ემეს შერება, არ იქცევა? მახლას, ესეც ნესჩასტნი სლუჩია, მა რა დარდუბალაა!..

**№ 5.** ვა! სტი მიტიკარა! ის ველიჩკაშვილი რასა სწერს და! ბას, გოროდი ჩვენი არ არის? ფი-ე-ე! ეს ემე, სახლები, დუქნები, ქარვასლები, სულ ჩვენი არ არის? ბას, ჩვენ ღრაჟდ-ნინები არა ვართ? იზმინიტ, პოჟალუსტა, როგორც ზაკონში დაწერილი, ისე უნდა იყოს. უჩასტკებისა არა ვიცით რა!..

**№ 6.** ეჰ, ცოტა ხანიც კიდევ და ნამდვილს აირჩევენ. მე ხომ იმედი არა მაქვს... რა შვილები არიან! ჯერ ეხლა დროებითა ვარ და ამას წინად მიშარეს, უკანონოთა ხარო, რაც ჯამაგირი წაგილია, დააბრუნეო. „დაი ბოღ", რომ ძველი თანამდებობა არ წამართვან, თორემ სხვას ვინა ჩივის!..

**№ 7.** დღეს დამიძახა იმ ჩემის ცოდვით სავსემ და მითხრა: ასი თუმანი წარმოადგინე, თორემ ვირის აბანოში ჩაგსვამთო. მეტი რა გზა იყო, წარვადგინე. მაგრამ გული კი გულის ალაგას არა მაქვს. ვინ იცის, როგორ წავა ჩემი საქმე. მე ასე მეგონა, იოლად გამოვალ მეთქი, ის კი არა საქმე ისე ამირიეს, რომ კამჩატკა აქეთ დამრჩეს. შემიბრალეთ, ეხლა მეღორეც კი ჩემზედ ბედნიერია. თავისუფალი მაინც არის და არაფრისა არ ეშინიან.

კუპრია.

* * *

## «ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეთა დამხმარებელ საზოგადოების» კრება.

გუშინწინ, 14 თებერვალს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოიყარეს თავი „ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეთა დამხმარებელი საზოგადოების" და გამგეობის წევრთა. ამ კრებას კავკასიის სამეურნეო საზოგადოების რამოდენიმე წევრიც დაესწრო.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ა. ბ. ეკანგულოვი, რომელმაც თავდაპირველად აუხსნა დამსწრეთ საგანი „ამხანაგობისა» და აღნიშნა კრების განსახილველად შემდეგი კითხვა: „რა საშუალებას უნდა მიმართოს „ამხანაგობამ" თავის მოქმედების გასაუმჯობესებლად, ე. ი. რა საშუალებით შეუძლიან ამხანა-

გობას საქმე პირდაპირ მწარმოებელთან (მეურნესთან) ჰქონდეს ხორაგის შეძენის დროს?

„ამხანაგობის“ გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ბოჩკარიოვმა მოახსენა კრებას ამხანაგობის ორის წლის მოქმედების ანგარიში, რომლიდამაც სჩანს, რომ „ამხანაგობა“ სულ ორი წელიწადია რაც მოქმედებს. დაარსებისას საზოგადოებას ჰქონია 4700 მ. თანხად და დღეს კი აწარმოებს ნახევარ მილიონამდე მანეთის საქმეს. ეს ისეთი თვალსაჩინო ნაბიჯიაო, ამბობს ბ. ბოჩკარიოვი, რომ იმედი უნდა გვქონდეს, რომ მრიელ მალე ჩვენი წარმოება ერთ მილიონ მანათამდე მიაღწევსო.

ამხანაგობას ამ ჟამად სამი ათასამდე წევრი ჰყავს. წელიწადში ამხანაგობა 420,000 მანეთს ხარჯავს, ამაში 120,000 მანათისას ადგილობრივს ნაწარმოებს ჰყიდულობს, ამის გარდა სხვა-და-სხვა ჩარჩებისა და ვაჭრების ხელში მიდის ამხანაგობის წევრთაგან არა ნაკლებ 5 მილიონი მანათისა.

ამხანაგობას მთავრობამ 10,000 მ. მისცა სესხად სამის წლით და გარდა ამისა დაუნიშნა შეღავათიანი ბაჟი საქონლის გარდატან გადმოტანისათვისაო.

ა. ბ. ევანგულოვი. რა წეს-რიგით ხელ-მძღვანელობს, საზოგადოდ, ამხანაგობის გამგეობა სანოვაგეს და ხორაგის შეძენაში?

ბ. ბოჩკარიოვი. სანოვაგეს, განსაკუთრებით ადგილობრივს ნაწარმოებს, გამგეობა ნაღდ ფულად ჰყიდულობს, ხოლო შეძენისათვის ხელ-მძღვანელობს მოხერხებულის წლის დროთი, მაგალ.: ყველს, კომბოსტოსა და კართოფილს შემოდგომაზე, სექტემბერსა და ოქტომბერში ვამზადებთო.

ამხანაგობას წლიდამ წლამდე შემდეგი პირველ-საჭიროებითი სანოვაგე სჭირდება: 21,600 ფუთი—პური,— 15,000 ფუთი ხორცი, 15,000 ფუთი—კართოფილი, 2500 ფუთი—ერბო, 15,000 ფუთი—კომბოსტო, 1,000 ფუთი—ყველი, 3,000 ფუთი—ბრინჯი, 250,000—კვერცხი და 4,500 ფუთი—მჟავე კიტრიო.

ამის შემდეგ რამდენმამე წევრმა განაცხადეს, რომ საჭიროა რკინის გზის ყველა სადგურებზედ ამხანაგობის გამგეობამ განცხადებანი იქონიოს მუდამ იმის შესახებ, თუ რა ხორაგი, რ მდენი და რა დროისათვის სჭირია ამხანაგობასაო; ამასთანავე თითეულს ხორაგზე შესაფერი ფასი უნდა იქმნეს აღნიშნული იმავე განცხადებაშიო.

თ. ბარათაშვილი დ. ზ.—ხორაგის ფასს გამგეობა ვერ დანიშნავს, რადგან ეგ მწარმოებლის განსაკუთრებული უფლებაა. „საქონელი ჩემია, ამ ფასად მიღირს, გნებავთ იყიდეთ, თუ არა და ნუ დამრჩეს“...

ა. ბ. ევანგულოვი. საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი ზომები შემოვიღოთ: 1) ვსთხოვოთ „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას“, რომ სამეურნეო გაზეთის «ცნობათა ბიუროში», დრო გამოშვებით, იბეჭდებოდეს ხოლმე „ამხანაგობის საჭიროებანი და პირობები და თანაც იქვე მწარმოებელთა პასუხებიც. 2) ვსთხოვოთ ამავე საზოგადოებას, შუამდგომლობა გასწიოს «ამხანაგობისა» და მწარმოებელთა შორის, რომ ამ უკანასკნელთა შეეძლოთ თავისი ნაწარმოების ნიმუშები წარმოუდგინონ ამხანაგობას „ცნობათა ბიუროს“ საშუალებით.

ბ. ფიგუროვსკი ამტკიცებს, რომ თუ რკინის გზის სადგურებზედ იქნა გამოფენილი ზემოხსენებული განცხადებანი, მაშინ „ამხანაგობას“ ხშირად მწარმოებელთან კი არა, ისევ ჩარჩებსა და ვაჭრებთან ექნება საქმე, ამისათვის საჭიროდ სცნობს, რომ „ამხანაგობის“ რწმუნებულნი პირნი თითონ დადიოდნენ სოფლებში, ჰყიდულობდნენ სანოვაგესა და, საჭიროებისა დაგვარად, ზესაც აძლევდნენ მწარმოებელთაო.

ბოლოს კრებამ ხმის უმეტესობით შემდეგი დაადგინა: 1, ეთხოვოს „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას: ა) იკისროს შუამდგომლობა „ამხანაგობისა“ და მწარმოებელთა შუა, ბ) დაბეჭდოს ხოლმე, უფასოდ „სამეურნეო გაზეთში“ „ამხანაგობის“ ყოველივე საჭიროება და პირობები და მწარმოებელთა პასუხებიც და გ) ნება მისცეს ამხანაგობას, რომ „სამეურნეო საზოგადოების“ „ბიუროს“ საშუალებით მწარმოებელთაგან მიიღოს მათის ნაწარმოების ნიმუშები.

2) გარდაეცეს „ამხანაგობის სურვილი „ოფიცერთა დამზოგველს საზოგადოებას“, რომ მანაც ესეთისავე თხოვნით მიმართოს „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას“.

კრება დაიშალა ღამის 12 საათზე. შემდეგი სხდომა დანიშნულია პარასკევს, 21 თებერვალს, „სამეურნეო საზოგადოების“ დარბაზშივე.

## სამეურნეო ცნობები.

**ტკიპის მოსპობა თავლაში.** ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ცხენები საჯინიბოში თითქოს სრულებით უმიზეზოდ ჰშფოთავენ. ასეთს შემთხვევებში კაცმა უნდა დაათვალიეროს, არის თუ არა სადმე საჯინიბოს მახლობლად საქათმე, სამტრედე ანუ მერცხლის ბუდეები, რადგან ყოველთვის დღისით ამ ადგილებში ბუდობენ ტკიპები და ღამით, როგორც ავაზაკები, მიემგზავრებიან საჯინიბოსაკენ და შეესევიან ხოლმე ცხენებს. ეს ბუდეები უნდა მოისპოს და საქათმე თუ სამტრედე საჯინიბოდამ შორს სადმე უნდა გადიტანონ. ტკიპის ნაკბენით გაჩენილი იარები ცხენს ადვილად მოურჩება, თუ წყალ-ნარევ ბენზინს წაუსმენ იარაზე.

## ახალი გამოგონება

**თვით-მოძრავი ზარბაზნები.** ვილაც პენინგტონს მოუგონია თვითმოძრავი ზარბაზნები. ერთი ზარბაზანი ერთის მხრიდგან ისვრის, მეორე მეორე მხრიდგან. ერთს წუთში ზარბაზანი 50—70-ჯერ ისვრის თურმე. შუა-გულ ადგილში ზის კაცი და გარშემო ფოლადის ფარები იცავს მტრის ტყვიებისაგან. კარგს გზაზედ თვით მოძრავი ზარბაზანი საათში 70 ვერსტს გაივლის თურმე. რა თქმა უნდა, ასეთი ზარბაზანი სულ ერთს საათში მტერს მუსრს გაავლებს.

## ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა აცხადებს, რომ 1 მაისს 1897 წელსა, დილის 11 საათზე, საჯაროთ გაიყიდება შემდეგი რვა მამული:

1. სამ-სართულიანი სახლი ანნა სარქისას ასულის და მიხეილ ზაქარიას ძის გარძელოვებისა, თბილისის მე 9 განყოფილებაში, მიხეილის ქუჩაზე, მიწა ზომით $31\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი, დაფასებულია 2400 მან., ვალი აქვს აწ გაუქმებულ პრიკაზისა 3610 მან. და 17 კაპ.

2. ორ-სართულიანი სახლი სარდაფით აწ განსვენებულის ეკატერინე დავითის ასულის გარლამოვისა, რომელიც იმყოფება თბილისის მე-9 განყოფილებაში, ნაბერეჟნი ქუჩაზე, № 15. მიწა ზომით 500 ოთხ-კუთხი საჟ., დაფასებულია 13,600 მან. თავნი ვალი აქვს იმავე უქაზისა 18,260 მან. და 88 კ., გარდასახადი (ნედოიმკა) 56,733 მან. 8 კაპ., ვაჭრობა დაიწყება 14,050 მანეთიდამ, რომელიც აძლიეს ამ მამულში 4—8 მაისს 1895 წელსა.

3. ერთ-სართულიანი დუქნები, სარდაფით, განსვენებულის სოლომან ივანეს ძის შაბუროვისა, ტფილისის 1 განყოფილებაში, გოლოვინის პროსპექტზე, მიწის ზომა 793 ოთხ-კუთხი საჟენი, დაფასებულია 14,400 მანათად, თავნი ვალი 157,324 მან. 32 კაპ., გარდასახადი 6400 მანათი და 79 კაპ., წლიური გადასახადი პირველ 12 წელიწადს 6,686 მან. და 66 კაპ., და მეორე 12 წელიწადს 9037 მან. 12 კაპ. ვაჭრობა დაიწყება 77,000 მანათიდამ, რომელიც აძლიეს ამ მამულში $\frac{9}{13}$ მაისში 1895 წელსა.

4. სოფლის მამული თავადის მიხეილ დავითის ძის თარხან მოურავისა, გორის მაზრის სოფლებ გომიჯვარში და ახალ-ქალაქში და შესდგება: სოფ. გომიჯვარში ორ ნაჭერ სარწყავ მიწისაგან ზომით 26 დესეტინა 2160 ოთხ-კუთხი საჟენი და ტყისაგან ზომით 65 დესეტინა 1793 ოთხ-კუთხი საჟენი და სოფ. ახალ-ქალაქში ერთ ვენახისაგან ზომით 1300 ოთხ-კუთხი საჟ. დაფასებულია 1-ლი—1180 მანათად და მეორე—2700 მან., თავნი ვალი 2887 მან. 30 კაპ., გადასახადი 1600 მან. 48 კაპ., წლიური გადასახადი 25 წლის განმავლობაში 206 მ. 4 კაპ.

5. ორ-სართულიანი სახლი, ფლიგელით და სარდაფით იოსებ იაკობის ძის ანდრონიკაშვილისა, მე-9 განყოფილებაში, ელისაბედის და კიროჩნი ქუჩების კუთხეში, მიწის ზომა 225 ოთხ-კუთხი საჟენი, დაფასებულია 14,404 მანათად. თავნი ვალი 27,857 მან. 65 კაპ., გარდასახადი 2847 მან. და 6 კაპ., წლიური გარდასახადი 1593 მან.

6. ერთ-სართულიანი სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელით ნინა გიორგის ასულის ასლამაზოვისა, მეორე განყოფილებაში მე-3-მე ნავთლის ქუჩაზე № 14, მიწის ზომა 66 ოთხ-კუთხი საჟენი, დაფასებულია 1872 მან., თავნი ვალი იმავე პრიკაზისა 4322 მანათი 11 კაპ. გარდასახადი 353 მან. 22 კაპ., წლიური გარდასახადი—250 74 კ.

7. ორ-სართულიანი სახლი ტფილისის მოქალაქის ივანე სარქისას ძის არუთინოვისა, ტფილისის მე-7 განყოფილებაში, პოკროვსკის და პოპერეჩნის ქუჩაზე, მიწის ზომა 40 ოთხ კუთხი საჟენი, დაფასებულია 864 მანათად, ვალი იმავე პრიკაზისა სულ 4448 მან. და 2 კაპ. ვაჭრობა დაიწყება 320 მანათიდან, რომელიც აძლიეს ამ მამულში $\frac{4}{8}$ თებერვალს 1895 წ.

8. ორი მამული განსვენებულის იაგორა დავითის ძის წოვიანოვის მემკვიდრესი, ტფილისის მეხუთე განყოფილებაში, სომხების ბაზარში, ერთი ნაჭერი მიწა ზომით 1,9 ოთხ-კუთხი საჟენი და მეორე მეექვსე განყოფილებაში, კორონცოვის ქუჩაზე № 69, ორ-სართულიანი სახლი სარდაფით და დუქნებით, მიწის ზომა 354,24 ოთხ კუთხი საჟენი და დაფასებულნი არიან: 1-ლი—190 მანათად და მეორე—7920 მან.

ორიგინალურ ნივთების მოყვარულთა და საუცხოვო გემოვნებაზე ჩერქეზულად ჩაცმა-დახურვის მსურველთა საყურადღებოდ.

პირველ თებერვლიდან გავხსენი საუკეთესო მაღაზია—სახელოსნო საქართველოს ყოველგვარ თვალ-საჩინო და ადგილობრივ ნივთებისა და ჩერქეზულ ტანთსამოსისა

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სტეფანოვის სახლში № 16, სახელმწიფო თეატრის პირდაპირ, შემდეგის ფირმით:

„ქველა თვალია“

აზიური მაღაზია-სახელოსნო

მაღაზიაში იყიდება ყოველ-გვარი საჩოხე და საკაბე შალები და აბრეშუმები საქართველოს სხვა-და-სხვა მხარის ხელობისა

იქვე იშოვება მოყვარულთათვის მრავალი საინტერესო ნივთები: ქათხები, გულები, თასები, აზარფეშები, ჭიჭილაკები, ლიტრები, ყანწები და სხვა ხელოვნურად მორთულ-მოკაზმულები ხავერდით, ბუზმენტით და ოქრო-ვერცხლის ვარაყებით.

**იარაღთა საღარო:** მრავალი სხვა-და-სხვა დროისა ახალი და ძველი იარაღები, ქამარ-ხანჯლები, ხმლები, მასრები, მათრახები და სხვა.

საუკეთესო სახელოსნო

ტანთ-ჩაცმულობათა და ფეხსაცმელთა მოსამზადებლად

იკერება: ჩოხები, ახალუხები, შარვლები, ქუდები, ყაბალახები, პაჭიჭები, წუღები, მესტები, ჩუქმები და სხვა ფეხ-საცმელი ვაჟთა და ქალთათვის.

საგანგებოდ მოწვეული მყავს ქუთაისიდამ და კავკავიდან მცოდნე ხელოსნები

ვასრულებ ყოველგვარ შეკვეთას: ოქრო-მკედით და ქარგაზე ნაკერ ხელ-საქმეს.

!!!საქმეს ვასრულებ სუფთად, იაფად და სწრაფად!!!

დავშთები საზოგადოების ყურადღების მოლოდინში პატივისცემით

სოლომონ დავითის ძე ბერუჩაშვილი.

**Единственный Кавказскій магазинъ**

Оригинальныхъ Кавказско-восточно-азіятскіихъ вещей и предметовъ, (для украшенія кабинетовъ)

*при магазинѣ образцовая мастерская*

Кавказскихъ одеждъ и нарядовъ, а также азіятской обуви для женщинъ и мужчинъ.

**Выборъ всевозможныхъ шалей и шелковъ**

Кавказскаго издѣлія для дамъ и мужчинъ. Тамъ-же продажа *кавказскаго оружія* и всякихъ принадлежностей къ черкескѣ. *Скидка* на всѣ предметы торговли и заказа.

Адресъ. Тифлисъ, Головинскій, № 16, д. Степанова (противъ Казеннаго театра).

Съ почтеніемъ *С. Д. Беручевъ.*

(5 – 3)

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანად ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ ბრონერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა **40** მან.

**КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,**

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ,**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Тортовыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРОННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.

Плата за весь курсъ 40 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе **2-хъ часовъ**, по вечерамъ. Начало занятій—1-е число кажлаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. Аттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (წ.)

Магазинъ

**О. ЗИБЕРТА**

*Дворцовая.*

равюры, фотографіи и платинотипы съ произведеній **ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ** фирмы Буссо, Валадонъ и Кº въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

**ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ**

СЕРЕБРЯННЫЯ ВЕЩИ фабрики **МЮЛЛЕРЪ въ РИГѢ**

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* **НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕЙ** и т. под. **МЕЛЬХІОРОВЫХЪ ВЕЩЕЙ,** издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и. т. д.

**Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.**

(50—20)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Февраля 1897 г.    სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. № 21.    რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.